№ 53 **სახალხო გაზეთი** № 53

შაბათი, 10 ივლისი, 1910 წ. ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა. წელიწადი პირველი

**სვით მხოლოდ ნაღდული წყალი**

**ამ წლის 7 მაისიდან გამოდის**

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

## სახალხო გაზეთი

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექმნება კვირეული

**სურათებიანი დამატება**

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებით ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. ამის შემდეგ მეტი ეღირება.

****** ხელის-მომწერთა საყურადღებოდ ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„სახალხო გაზეთის" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდ.

წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Большая Ванкская ул., № 12, Семену Пашалишвили.

კვირას, 11 ივლისს

კაპიტან **დავით ლუკას ძე** ელიოზიშვილის

გარდაცვალების ნახევარ წლის თავზე კუკიის წმ. ნინოს ეკლესიის სასაფლაოზე დილის 12 საათზე გარდახდილი იქნება პანაშვიდი, განსვენებულის სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთა ნაცნობთ და განსვენებულის თანამოსამსახურეთ გარდაცვალებულის **დედა კოლეჟსკი სოვეტნიკის ქვრივი ელისაბედ იაკობის ასული გაბაშვილი-ელიოზაშვილისა.** (1—347—1)

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**

შაბათს, 10 ივლისს, ქართ. დრამატიულ დასის არტისტების მიერ **ვ. აბაშიძის** მონაწილეობით გაიმართება

**სახალხო წარმოდგენა**

წარმოდგენილი იქნება

**პეპო**

დრ. 3 მოქ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. გამყრელიძისა, ხერხეულიძე, ვიქტორელი, ბ. ბ. ვ. აბაშიძე, ი. ივანიძე, საფაროვი, იორდანიშვილი, მატარაძე.

**ადგილების ფასები—5 კ. 50 კაპ.**

რეჟისორი **ვ. აბაშიძე.** ● დასაწყისი $8^{1/2}$ საათზე. ● ადმინისტრატორი **საფაროვი.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფებისთვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და [illegible] ყ. დღე; გარდა კვირა. 11-12 საა.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და [illegible] ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ს.

**გორბოვსკი-ზარანეკი ე. ვ.** თვალისა. ყოველ-დღე კვირის გარდა 12—1 საათ.

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და [illegible] ხას. 1—2 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**ფირალოვი რ. ზ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.

**პაპოვი გ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**ხოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათ. საფასურით. (200—ნ.—223)

**ვაგზლის კერძო სამკურნალო**

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

მ. **ვაშაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

შ. **ა მიქელაძე**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. $1^{1/2}$—$2^{1/2}$ ს.

ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. **პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ ყოველ დღე 12—1 ს.

ე. გ. **ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—384)

**დასურათებული ასაწყობი ანბანი კუბიკებზე**

(„ნ ა კ ა დ უ ლ ი ს" პ რ ე მ ი ა).

შემუშავებულია ცალკე კომისიის მიერ პედაგოგებისაგან, მოკლე ხანში დამზადდება და დაურიგდება პრემიად „ნაკადულის" წლიურ ხელის-მომწერთ. რადგანაც ამგვარი ანბანის მოთხოვნილება ქართულ ოჯახებში დიდია, ამიტომ რედაქციას სურვილი აქვს დახმარება გაუწიოს საზოგადოებას და სთხოვს მსურველთ, არა ხელის-მომწერთ, ეხლავე დაიკვეთონ, რადგანაც რედაქცია გასასყიდად დასურათებულ ანბანს კუბიკებზე ვერ დაამზადებს. დაკვეთა შეიძლება 15 ენკენისთვემდე; ეღირება გაუგზავნელად 1 მანეთი.

**ადგილობრივ გაზეთების ყოფილი კონტრაგენტი**

**ვ. ა. რუკოვიჩი**

სთხოვს ქვემოდ დასახელებულ აგენტებს ანგარიში გაასწორონ.

**ოზურგეთში—გ. თალაქვაძეს. ფოთში—ორაგველიძეს და თელავში—ონიკაშვილს.** (2—1)

**დ. სურამი**

**პარკი და თეატრი ნოდიას ბაღში**

კვირას, 11 ივლისს, 1910 წ. ტფილისის ქართულ დრამ. საზ. მსახიობი ზ. მ. საფაროვი გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

**ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს,**

კომ. 2 მოქ. რ. ერისთავისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი ნებიერიძე, სურამელი; ბ-ნნი ზ. საფაროვი, გ. ხანი და სხვ.

**სალიტერატურო განყოფილება.**

(**დიდი დივერტისმენტი ორ განყოფილებით**).

მონაწილეობას იღებენ და თავიანთ ნაწარმოებს წაიკითხავენ ქართველი ახალგაზდა მწერლები: ია ეკალაძე, ირეთელი, დ. კასრაძე, ი. ნაკაშიძე, დ. ნახუცრიშვილი, ს. პართენაშვილი, ნარკანი, ნ. გიგაური, ტრ. რამიშვილი, გ. მღუსვენარიძე, ვ. ხანი' ნ. ჩხიკვაძე, ს. ყიფიანი და სხვ.

**ბაღში დაუკრავს გურულების სამხედრო მუსიკა.**

ბილეთები იყიდება თეატრის კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადგილების ფასი 30 კ.—2 მანეთამდე.

რეჟისორი **ზ. საფაროვი** გამგე **ნ. რაჟდენიშვილი.** (3—ნ.—2)

**გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერთ BATON-ის წიგნი**

**„ერი და კაცობრიობა"**

კერძო მყიდველებმა და [illegible] წიგნი შეიძინოს, უნდა მიმართონ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზ. წიგნის მაღაზიას.

**ადრესი:** Тифлисъ, Общество распространенія грамотности среди Грузинъ, Дворцовая ул. д. Груз. Дворянства. (0—17)

დაიბეჭდა და ამ დღეებში დაურიგდება ხელის მომწერლებს

**ივნისის ნომერი**

ჟურნალ

**„განათლებისა"**

**შემდეგის შინაარსით:** 1. მზიანი სკოლა (ა. დაუგე) ლ. ბოცვაძისა. 2. სახალხო განათლების საქმე საქართველოში—**კაკაბერიძისა.** 3. საუნჯე (ლექსი) აკაკისა. 4. სიმართლისკენ (სპარსული ზღაპარი ევგენიევისა) **განწირულისა.** 5. მეგრული ნანა (ლექსი) **მელიტონ გოგეჩიასი.** 6. გამოუთქმელი სიჩუმე **ცქვიტისა.** 7. აკაკის („გადარჯულებულის" გამო) ლექსი **ლადო გვეტაძორისა.** 8. სამშობლოს შესწავლის, გეოგრაფიის და ისტორიის პროგრამები საქართველოს სახალხო სკოლებისთვის. 9. პედაგოგიის ისტორია დ-რ **ვაიმერისა.** 10. პროცესი გერმანელ პედაგოგის შარრელმანისა. Ratti-სა. 11. მინაური მიმოხილვა—რა უნდა აკეთონ ზაფხულობით მასწავლებლებმა. **ლას-ბანისა.** 12. მოწერილი ამბები—ზღვიდან **აქილლესისა,** პეტერბურგიდან **ლადო გვეტაძორისა.** 13. ბიბლიოგრაფია—„რას გვიამბობს ოთახი" **განისა.** 14. ცხოვრებიდან და მეცნიერებიდან—ელექტრონობა ბიბლიაში. 15. როდესაც ვიფრენთ (გერმანულიდან) **ივ. ყიფშიძისა.** და სხ. განცხადებანი.

ჟურნალი წლიურად ღირს 3 მან. სოფლის მასწავლებლებთათვის 2 მანეთი.

**მისამართი:** Тифлисъ, Дворянская Грузинская гимназія Л. Г. БОЦВАДЗЕ. რედაქტორ-გამომცემელი **ლ. გ. ბოცვაძე.**

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი **მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—105)

**ექიმი** ბორჯომში **ა. ს. ალადაშვილი**

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის ტერაპევტიულ კლინიკისა იღებს შინაგან ავადმყოფობით სნეულებს დილის 9—12 და საღამოს 5—6 ს., ერისთოვის ქუჩა სახლი ზუბალოვისა. 25—ნ.—17

**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—4 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა (უ)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. $5^{1/2}$—$6^{1/2}$ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება საღამოს $6^{1/2}$—8 ს. ტუბერკულინით წამლობა ჭლექიანებისა, ელექტრო-თერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი (50—ნ.—19)

**ექიმი** აბასთუმანში **ალექსანდრე ალექსანდრეს ძე თუმანიშვილი**

იღებს შინაგან და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს. (25—320—45)

**ექიმი ვ. ლამბაშიძე**

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**ექიმი ვასილ წერეთელი** ქუთაისში

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—223)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გრიბოედოვის ქ., № 9. (უ)

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—164

**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**

**გადავიდა** იზმაილოვის ქუჩაზე N 2. იღებს ავადმყოფთ დილით 10 ს.—2 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი შ. ა. მიქელაძე**

იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველდღე საღამოს $5^{1/2}$—$6^{1/2}$ საათამდის კახეთის ქ. ტელეფონი N 816.

**ზემო ავჭალაში** იძლევა აგარაკი

ორი ოთახი თავის სამზარეულოთი. ოთახები მოთავსებულია ზემო სართულში და გარშემო მშვენიერი ბაღი აკრავს. პლატფორმიდან სულ შვიდი წუთის სასიარულოა.

**იკითხეთ „სახ. გაზ." რედაქციაში.**

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივლისი.

**საზღვარ-გარედ.**

**ბუფალო.** რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო ვაბაშის რკინის გზაზე მოძრაობა შესწყდა.

**ნიუკესტლი.** რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო მატარებლების წესიერი მიმოსვლა შესწყდა. ძლიერ გაძნელებულია ნიუკესტლ-სოუტშილდს შორის მიმოსვლა. ტაინის გემის ამგებმა მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა.

**პესპინიანი.** ისპანიის ლტოლვილ რევოლიუციონერებს და მაროკოში მომქმედ ისპანიის ჯარის დეზერტირებს ნება მიეცათ დაბრუნდნენ სამშობლოში.

**სოფია.** მთავრობის გაზეთი „პრიპორეცი" ბოლგარების მაკედონიიდან ლტოლვის გამო აცხადებს, ოსმალეთის მთავრობა ერთის მხრით ართმევს იარაღს ბოლგარებს და ამავე დროს ურიგებს მუხაჯირებს. გაზეთი ურჩევს ოსმალეთის მთავრობას, გაანთავისუფლოს დატუსაღებულნი და უზრუნველჰყოს ლტოლვილი დაბრუნებისას ბოლგარები სამშობლოში.

**მადრიდი.** პოლიტიკურ წრეებში დიდ ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, [illegible] ყველა ლიბერალურ პარტიების შეერთება კანალეხასის ხელმძღვანელობით.

**ლონდონი.** მეფე-დედოფლის ტახტზე ასვლა მოხდება ივლისში 1911 წელს.

**ნიუ-იორკი.** რკინის გზის მოსამსახურეთა გაფიცვის გამო რკინის გზისა და ფოლადის ჩამომსხმელმა ქარხნებმა მილსბროში შეაჩერეს მოქმედება საჭირო მასალების გამოლევის გამო.

**მადრიდი.** დეპუტატთა პალატამ მიიღო 183 ხმით, წინააღმდეგ 8 ხმისა სეფე სიტყვის საპასუხო ტექსტი.

**ლისაბონი.** მაკაოდან ოფიციალურად იუწყებიან, პორტუგალიის ჯარმა დაიჭირა კოლოვანის ნავთსადგური.

**მიუნხენი.** ლანდტაგმა ბავარიის რკინის გზებისთვის ორთქლის მაგიერ ელექტრონის შემოსაღებად გადასდო ექვსი მილიონი მარკა, სულ საჭიროა 32 მილიონი მარკა.

**ჰააგა.** საერთაშორისო კონფერენციის სექციებმა სავექსილო უფლების შესახებ მუშაობა დაასრულეს. ორშაბათს მოხდება უკანასკნელი სხდომა.

**სტამბოლი.** ავად არის ქედივი.

სათათბიროს თავმჯდომარეს გუჩკოვს, კრამარჟს, ბეხტერევს და სხ. სლავიანთა სოფიის კრების მონაწილეთ გაუმართეს გამოსამშვიდობელი სადილი, რომელსაც დაესწრო პალატას თავმჯდომარე ახმედ რიზა და ელჩი ჩარიკოვი. გუჩკოვი გააცილეს პალატის თავმჯდომარემ, შინაგან საქმეთა მინისტრმა და რუსთა კოლონიამ.

ნიკოლაევიდან მოსულ გემიდან გადმოიღეს ავადმყოფი იტალიელი, რომელიც ხოლერისაგან გარდაიცვალა.

ოსმალეთის მთავრობა უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომ იარაღებს ურიგებდნენ ოსმალოებს და ხოლო ამავე დროს ქრისტიანებს ართმევდნენ იარაღს. ართმევენ ყველას, სარწმუნოების მიუხედავად.

**პეკინი.** ჩინეთის პრესა დიდი უკმაყოფილოა რუსეთ-იაპონის შეთანხმებით და თავის მთავრობას უმოქმედობას უსაყვედურებს. პრესის აზრით, გუშინდელ ორ მეომარ სახელმწიფოთა შეთანხმება დამღუპველია ჩინეთისთვის. თუ რუსეთ-იაპონიის ომმა დიდი ზიანი მიაყენა ჩინეთს, მით უფრო მათი შეთანხმება იქნება საზარალო. რუსეთი აძლიერებს თავის მოქმედებას მონგოლიაში, ხოლო იაპონია მანჯურიაში. პრესსა მოითხოვს მთავრობისაგან რეფორმებს და კოლონიზაციის გაფართოებას განაპირა ქვეყნების შესანარჩუნებლად.

**სპარსეთი**

**თეირანი.** სამღვდელოების განკარგულებით სეიდ-აბდულას მკვლელების აღმოჩენამდე დაიხურა ქალაქის ყველა საჩაიები. მოხდა დიდი არეულობა. ჰამადანში მოჰკლეს ადგილობრივი მუშტეიდი შეიჰ-ბატრიურმია. სეიდ-აბდულას მოკვლის გამო ქალაქი შავად შეიმოსა. ქუჩებში სამგლოვიარო პროცესიები დადიან.

**რუსეთი**

**ოდესა.** გემ „თამარა"-ზე ოჩაკოვის ახლოს აფეთქდა წყლის ონკანი. მოკლულია მექანიკი.

[illegible] გახსნა ბელინსკის სახელობის სკოლა მისი დაბადების ასი წლის შესრულებისა გამო.

**ორიოლი.** ნილაბ-ჩამოფარებულმა ბოროტ-განმზრახველმა დღისით გასცარცვა შემნახველ-გამსესხებელ იგოტის ამხანაგობის კასირი, წაართვა 9000 მანეთი.

ქალაქის გამგეობამ დაადგინა გახსნას ტურგენევის სახელობის მესამე ვაჟთა გიმნაზია.

**ოდესა.** ნოვოროსიის უნივერსიტეტის ყოფილი პრივატ-დოცენტი, ხოლო ეხლა იაროსლავის ლიცეის პროფესორი, ორჟეცკი სამართალში მისცეს. ჰბრალდება 1905 წელი გაფიცულ მუშების წინაშე სიტყვის წარმოთქმა.

**კიშენევი.** ბევრ ქუჩაში ნიაღვარის გამო მიმოსვლა შესწყდა, მდინარე ბიჩკ — აზოზოქრებულ ტბას დაემსგავსა.

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთის რკინის გზის გამგეობა უარჰყოფს ოდესიდან მიღებულ ცნობას, მატერიალურ განყოფილებაში ბოროტ-მოქმედების აღმოჩენის შესახებ.

**ნოვოჩერკასკი.** სადგურ კამენოლომნიდან გასული საქონლის მატარებელი დაეჯახა ორთქლმავალს. ორი ვაგონი გადასცდა რელსებს. დაშავდა 5 კაცი.

**იაროსლავი.** საქონლის ჭირით ავად არის 7000 სული საქონელი, უგლიჩის და მიშკინის მაზრაში ციმბირის ჭირი მძვინვარებს.

**კიევი.** ახლად გარდაცვლილმა ხმოსანმა კრუპენსკიმ ასი ათასი მანეთი დასტოვა საქველმოქმედო აზრით.

**პეტერბურგი.** შესდგა საუწყებათა შორისო თათბირი ვაჭრობის მინისტრის ამხანაგის მილერის თავმჯდომარეობით. კრებამ უნდა გამოარკვიოს, თუ რა არის მიზეზი რუსეთიდან სიზღვარ-გარედ გადატანილი პურის ნამეტანი უსუფთაობისა. კრება ითათბირებს პურის გაყიდვის ორგანიზაციის მოწყობაზე

და საზღვარ-გარეთ გაზრისათვის დაადგენს პურის ფასს. თათბირში მონაწილეობას იღებენ საზირულო ნავთ-სადგურიან ქალაქების კომიტეტის წარმომადგენელნი.

ვაჭრობის მინისტრის ამხანაგის თავმჯდომარეობით დაიწყო საუწყებათა-შორისო თათბირი, რომელმაც გადასახადი უნდა დაადვას მანჯურიით გადატანილ საქონელს.

**ეკატერინბურგი**. გაიხსნა საუწყებათამორისო კრება ურალზე დასაკეტად განზრახული ქარხნების მუშათა დასახმარებლად. დაადგინეს მოაწყონ საზოგადო სამუშაო, გაიყვანონ ორი გზა ტკეცილი, რისთვისაც უნდა გადაიდოს 180,000 მანეთი. უკვე მომქმედ კერძო ქარხნებს უნდა მიაწოდონ თუჯი სახაზინო კამენსკის ქარხნიდან. აგრეთვე დაადგინეს ეპატიოს ქარხნებს საერობო და სამრეწველო დარჩენილი გადასახადები, მოაწყონ შინამრეწველობის ნაწარმოებთა საწყობი, სახელოსნო და სხვ.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი**. ხოლერის შესახებ დეპეშათა სააგენტოს ატყობინებენ: პეტერბურგში ავად გახდა 43, გარდაიცვალა 5, ავად არის 120, ბალახვანის მაზრაში, ნიჟე-გოროდის გუბ., ერთ კვირაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2, შესდგა სანიტარული კომისია და შეუდგა მოქმედებას. სოფელ კრივაჟში, ორლოვის გუბ., ავად გახდა 14, სოფელში გაიგზავნა ექიმთა რაზმი, ყარსში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2, ყარსის ოლქში, სოფელ კარაუთგანში, ავად გახდა და გარდაიცვალა 2. ქერჩში და მის ოლქში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 6, ავად არის 100; ლაბინსკის სტანციაში, ყუბანის ოლქი, ყოველ დღე ავად ხდება 40 კაცი. მოვიდა ექიმი, ნოლინის მაზრაში, ვიატკის გუბერ. ავად გახდა 2, გარაიცვალა 1, ჩემბარის მაზრაში, პენზის გუბერ. ავად გახდა 7, გარდაიცვალა 1, პერმაში კვირის განმავლობაში ავად გახდა 4, სევასტოპოლში გარდაიცვალა 4 [illegible] 3, ქალაქ ჩისტოპოლში და მის მაზრაში ახლად გაჩნდა ხოლერა. იაროსლავში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, კრონშტანდში გემებისა და ნავთ-სადგურის შესამოწმებლად შესდგა სანიტარული კომისია. მგზავრებს სინჯავენ და თვალს ადევნებენ ექიმები. მოსკოვში ხელახლად გაჩნდა ხოლერა, ავად გახდა ერთი კაცი.

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

**ხოლერა.** პოლიციის ცნობით, 8 ივლისს ტფილისში 13 კაცი გახდა ხოლერით ავად. ამათგან გარდაიცვალა 1: რიპკა ივანეს ასული მეგრალიანტი. დანარჩენები ხოლერიანთა ბარაკში მოათავსეს. მათი გვარები: პეტრე ვასილის ძე ჩერკაშინი, ნოე იაშვილი, 45 წლისა, მაგდალინა თევდორეს ასული ხამასურიძე, ალექსანდრა მ ხეილის ასული: ესტატე და მიხეილი, ეფემია პეტრეს ასული შარაპოვისა, ალექსანდრე პეტრეს ძე მარკილოვი, ნიკოლოზ ივანეს ძე სპირიდონოვი, ასალბეგ ვიზიროვი, ბორის კლიუევი და გაბრიელ კრავჩენკო.

**დუშეთიდან გვწერენ:** 3 ივლისს მაზრაში ხოლერამ იჩინა თავი. ს. ზოტიკიანთ კარში, ხუთი კაცი გახდა ავად და ხუთივე გარდაიცვალა, შემდეგ მოედო ახლო მდებარე სოფლებს: ს. არანისში ავად გახდა 6 კაცი,—3 გარდაიცვალა, ს. არღუნში გარდაიცვალა—2,—ს. ჭოპორტში—მღვდელი ბუჯანიძე; ს. მცხეთაში—1, ზაქაროში (საგურამოს საზოგადოება)—1; ხოლერა ტფილისიდან შემოუტანიათ; სოფლელები სულ ერთიან ტყეში არიან გახიზნულები; სენი დღე და დღე უფრო და უფრო ვრცელდება. დუშეთში მის წინააღმდეგ ჯერ არავითარ ზომებს არა ღებულობენ, ზომების მიღება კი ძლიერ და ძლიერ საჭიროა, რადგანაც ზოგიერთი ხოლერიანი სოფელი სულ 3—5 ვერსის მანძილზე დუშეთზე დაშორებულია.

იქიდანვე დამატებით მივიღეთ ცნობა, რომ 7 ივლისს შიგ დუშეთში ავად გახდა ერთი მოქალაქე მიხაკა ავალიანი და ადგილობრივი [illegible] ორივენი გარდაიცვალნენ. ჯერ არავითარი ზომები არაა მიღებული.

**ხოლერა.** ხოლერის გაჩენიდან 6 ტფილისში ხოლერიანთა ბარაკში ავად გამხდარა სამი მოსამსახურე. ბარაკში მოწვეულნი არიან: ექიმი საყვარელიძე, ეირანოვი, ოჰანეზოვი და ექიმი ქალი ზილბერმანი.

**ნავთი არმავირში.** დეპეშათა სააგენტოს სიტყვით მაიკოპის ახლო, სადიეჟნის სტანიცაში ნავთის, შადრევანს ამოუხეთქია.

**პროგიმნაზია.** ტფილისში არსებული ლევანდოვსკის სასწავლებელი კერძო პროგიმნაზიად იქმნა გადაკეთებული. პროგიმნაზიაში 15 წლამდე ორივე სქესის მოსწავლეთათვის საერთო სწავლება იქნება. პროგიმნაზიას მთავრობის გიმნაზიის უფლებანი ეძლევა.

**იარაღის აღმოჩენა.** როგორც მკითხველთ უწყიან, 2 ივლისს სოფ. წვერში წმ. გიორგის მონასტერი გაძარცვეს. ამ საქმის გამო, სხვათა შორის, დაპატიმრებულ იქმნა ანდრია გოგლაძე. 8 ივლისს გაჩხრიკეს გოგლაძის სახლი. ეძებდნენ იარაღს, მაგრამ ვერა იპოვნეს-რა. გოგოლაძის დედამ და ნათესავმა სოფიო შალამბერიძემ განაცხადეს, იარაღის შესახებ არა ვიცით-რაო, ხოლო, როცა უკანასკნელნი დააპატიმრეს, დიდი ხნის ჯიუტობის შემდეგ გამოტყდნენ, „მაუზერის“ რევოლვერის ბუდე და პატრონები ვარაზის ხევში გადავყარეთ, ხოლო თოფი დავმალეთო. ბოქაულებმა სახლი ხელ-მეორედ გაჩხრიკეს და იპოვნეს გამოურკვეველ სისტემის ახალი რევოლვერი და ერთი კოლოფი თოფის წამალი; ამას გარდა ეზოში შეშებს ქვეშ იპოვნეს „კარაბინარ“-ის სისტემის რევოლვერით. შალამბერიძე და მარია გოგლაძე დღემდე დაჭერილნი არიან. პოლიციის აზრით, ესენიც ყაჩაღთა ბრბოს უნდა ეკუთვნოდნენ.

**ხოლერიანთა რიცხვი.** ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის ცნობით, 8 ივლისის დილის 9 საათიდან 9 ივლისის დილის 9 საათამდე ტფილისში ხოლერით ავად გახდა 14 კაცი. ხოლერიანთა ბარაკში იყო 81 კაცი. მოიმატა 14, გამოეწერა—6, გარდაიცვალა—4. ბარაკში დარჩა—85.

**ხოლერიანთა სასაფლაო.** ქალაქის გამგეობამ ავლაბრის საქალაქოს აგარაკში კარგი მოზრდილი ადგილი დაუთმო ხოლერით გარდაცვალებულთა დასასაფლავებლად.

**მეფუტკრეობა სვანეთში.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა სთხოვა მიწადმოქმედებისა და მიწადმომწყობ სამინისტროს კავკასიის რწმუნებულს, რომ სვანეთში დაარსებულ სახელოსნო განყოფილებებს მეფუტკრეობის რიგიანად დასაყენებლად მიეცეს ყველა საჭირო იარაღი.

**საგუბერნიო ს აპატიმროს კომიტეტი.** ციხის კომიტეტს ამ დღეებში კრება ჰქონდა ხოლერის წინააღმდეგ ზომების შესამუშავებლად. სხვათა შორის დაადგინა, საპატიმროს ეზოში მოაწყოს ხის ბარაკი 15 საწოლით. საპატიმროში დღემდე ხოლერით ორი გახდა ავად: ერთი პატიმარი და ერთიც საპატიმროს ზედამხედველი.

**სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სვანეთში.** 8 ივლისს სვანეთში გაემგზავრა კავკასიის ოლქის მზრუნველი რუდოლფი იქაურ სახალხო სკოლათა დასათვალიერებლად.

**გადასახლებულის შეპყრობა.** 8 ივლისს პოლიცელმა სოლოლაკის ქუჩაზე შეიპყრო კონსტანტინე იგნატიევი, რომელიც ადმინისტრატიულის წესით იყო გადასახლებული და თავის ნებით დაბრუნდა.

**სამკურნალო საზოგადოება.** ამ დღეებში კავკასიის სამკურნალო საზოგადოება რუსულსა ქართულსა, სომხურსა და თათრულს ენებზე მოაწყობს პოპულიარულ ლექციებს ხოლერის შესახებ.

**სინემატოგრაფი.** ტფ. სინემატოგრაფების თვალყურის დევნება ქალაქის გამგეობამ დაავალა ქალაქის ინჟენერს ი. ი. კოგნოვიცკის.

**ქალაქის თავის ავადმყოფობა** ტფ. ქალაქის თავი თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, რომელიც ამას წინად ავად გახდა, გუშინ თავს ძალიან ცუდადა გრძნობდა. თავ. ჩერქეზიშვილის ავადმყოფობა გუშინ დილიდან მეტად გართულდა და ჩერქეზიშვილი ძალიან დასუსტდა, გუშინ ავადმყოფი ინახულა ქალაქის მოურავის მოადგილემ ა. ი. ხატისოვმა.

**მადლობის გამოცხადება.** რუსეთის სათეატრო საზოგადოების გამგეობამ წერილობით მადლობა გამოუცხადა ტფ. პოლიცმეისტერსა და მის თანაშემწეს, რომელთაც საარტისტო საზოგადოების თეატრში წარმოდგენა გაუმართეს პოლტავერის დასს არტისტებს და მით საშუალება მისცეს ტფილისიდან წასულიყვნენ.

**უფასო საჩაიები.** დღემდე ტფ. ქალაქის ქალაქის სხვა და სხვა უბანში თორმეტი უფასო საჩაიე გაიხსნა.

**ტფ.** პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, ამიდან ზომები აშას წინად ტფილისში უკვეთლად დაკარგულ სვანიძის მოსაძებნად.

**7 ივლისს** საერთო ჩხრეკის დროს ქალაქის სხვა და სხვა უბანში პოლიციამ 15 უპასპორტო შეიპყრო.

## პატარა ფელეტონი

### რ ა ტ ო მ ?

მუსიკით, ესე იგი, ერთგვარ ხმათა თრთოლვით, შეუძლებელია აზრის გადაცემა; მუსიკის საქმეა მხოლოდ გრძნობათა აღძვრა.

როცა პირველად ვისმენდი შუმანის შეუდარებელს: „რატომ?“-ს, შემდეგი ვიგრძენი.

სულ პატარა ვიყავი; დედამ რაჭული ქადა მომცა; მივჯექ ხის ძირში და ვაპირებდი ტუჩების ჩატკაპნურებას... კატა მომეპარა და წამართვა. ოჰ, რა ტანჯვა ვიგრძენ მაშინ.

რატომ?

მე და ჩემი და ერთად ვიზრდებოდით; ერთმანეთი, როგორც მახსოვს, მხოლოდ მახსოვს სამწუხაროდ, ძლიერ გვ ყვარდა. დაგვპირდნენ სადღაც სალხინო საღამოზე წაგიყვანთო, მაგრამ მე აღარ წამიყვანეს. ჰო, რა ტანჯვა ვიგრძენ მაშინ.

რატომ?

ეგზამენი უნდა დამეჭირა. მამა სიამოვნებით ამბობდა: „ამას კიდევ დავაყენებ გზაზე და მოვისვენებო“. დედა მეუბნებოდა: „შვილო, ადრე ადგომას შეეჩვიე, თორემ შუადღემდე ძილი გიმნაზიაში არ გამოგადგებაო“; დები ტანთ საცმელს მაზომებდენ; სტუმრები „მომავალ ყმაწვილ კაცს“ მეძახდნენ; მედიდურად უყურებდი ბავშვებს, რომელთაც ჯერ კიდევ მოკლე შალვრები ეცვათ და ტიტველი მუხლები უჩანდათ: მე ხვალზეგ გიმნაზიელი ვიქნები! მაგრა[მ] „ჩამჭრეს“ ეგზამენზე (სწორედ [illegible] ძალით „ჩამჭრეს“ და არა თვითო[ნ] „ჩავჭრილვარ“). თუმცა სახლში არ[...] ხეინად დავბრუნდი—არ შევიმჩნი[ე], მაგრამ ოჰ, რა ტანჯვა ვიგრძენ მაშინ!

რატომ?

პირველი სიყვარული, წმინდა [...] ნაზი ბორჯომის ცამ უეცრად გულში ჩამინათა. დიდ ხანს ვცდილო[ბ]დი და თან გაურბოდი იმ მაღალ[...] გაბუხუნებულ, ქერა თმიან [...] თაფლისფერა თვალებიანის გაცნო[ბ]ას... ვეღირსე... მაგრამ ჩემ[მა] რუსულმა, ჩემმა იმერულმა მიხვრა[-]მოხვრამ ვერ მიიზიდა, და გულ ახ[...]დილად სიცილი დამაყარა. ოჰ, [რა] ტანჯვას ვგრძნობდი მაშინ!

რატომ?

მთელი ჩემი სიცოცხლე მეორე კლასიდან, მგონია, ერთს დიდ[...] აზრს ჩასციცებოდა: მინდოდა ამე[...]სნა მთელი კაცობრიობის მთელ[ი] ისტორია, პრომეთეოსის და ფაუ[ს]ტის ხასიათი. რასაც კი გავი[...]გონებდი, რასაც კი წავიკითხავდი—ყველაფრიდან ვიღებდი მასალა[ს] ამ ჩემთვის საყვარელ, და მეგობა[რ] ჭეშმარიტებისათვის; ფუტკარივით ვამზადებდი სიცოცხლის სარჩო[ს], გუსტავ ემრის რომანებიდანაც კ[ი] ამოვკრიბე რაღაც-რაღაცა, მაგრამ

დავხიე წიგნი, გავაცამტვერე: დღევანდელ დღისთვის არ იყ[ო] ქმნილი.

რატომ?

ცხოვრება მთა არის ტყე კლდო[...]ვან-ყინულიანი. მხოლოდ მწვერვალზე ჩნდება მზე და ჩრდილი[...]რა გულით ვეპოტინებოდი ყოვე[ლ] ბილიკს, რამდენი ქაცვ ნარევი ში[მ]ბი გავიარე! რამდენი ტყავი გა[...]ძვრა მუხლებს, მაგრამ თავქვე ვვარ[...]დებოდი უფსკრულში.

ოჰ, რა ტანჯვასა ვგრძნობ.

რატომ?

გათავდა თუ არა შუმანის პიესა გიჟივით, თრთოლვით გამოვვარდ[ი] კარში. კონცერტი არ იყო გათავე[...]ბული. მთელი ღამე დავეხეტებოდ[ი] და ვტიროდი. ვისაც უკანასკნელ[ი] ფული მიუცია ბილეთში, ის მიხვდე[...]ბა, რა ტანჯვას უნდა გრძნობდ[ეს] ადამიანი, რომ ქვეყანაზე საუკეთე[...]სო მუსიკალური საღამო მიატოვოს.

## ბიოლოგიური შენიშვნები

X *)

აქამდის ჩვენ ვლაპარაკობდით უჯრედის სხვა და სხვა გვარ ცხოვრებითი მოქმედებაზე. ეხლა გადავიდეთ მეორე საკითხზე და ვნახოთ, თუ უჯრედი როგორა მრავლდება. ბუნებაში ყოველივე ცოცხალი არსება იბადება, იზრდება და მრავლდება. გამრავლება რომ არა, უეჭველია, სიცოცხლე შეჩერდებოდა და დედამიწას აღარ ექნებოდა ის ელფერი, რომელიც მას დღეს აქვს. უჯრედიც ცოცხალი არსებაა, მაშასადამე, ისიც უნდა მრავლდებოდეს და ბუნების კანონებს ექვემდებარებოდეს.

მაგალითისათვის მივუბრუნდეთ ისევ ჩვენს ამიობას. როგორც გამოუკვლევიათ, ამიობა მრავლდება გაყოფით. როდესაც ის იწყებს გამრავლებას, მისი სხეული ჯერ წვრილდება შუა ადგილს, მერმე გაწვრილებული ადგილი წყდება და ამიობა ორად იყოფა. ერთი ამიობიდან ჩნდება ორი. ახლად გაჩენილი ამიობა პაწაწა ტანისაა, შემდეგში თან და თან იზრდება, მატულობს და სრულდება. დასრულდება თუ არა, ისევ იყოფა ორად და ასე ამ რიგად მრავლდება განუსაზღვრელად.

როგორც სწავლულნი გვარწმუნებენ, ეს გამრავლება სულ მარტივი ტიპის გამრავლებაა. ამიობის გარდა, ამგვარივე გაყოფით მრავლდებიან სხვა ბევრი ერთ უჯრედიანი ორგანიზმებიც, მაგ. ინფუზორიები, ძირფეხები, წყალ-ბალახები, სოკოები და სხ. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ბევრ შემთხვევაში ამიობა ორად კი არა, უფრო მეტადაც იყოფა.

როგორც ვიცით, ამიობა შესდგება ბირთვისაგან და პროტოპლაზმისაგან. მოახლოვდება თუ არა გამრავლების დრო, ზოგიერთი ამიობა იმოსება თხელი გარსით. დანიშნულ დროს ბირთვი ირღვევა პაწაწა მარცვლებად, მარცვლები იზრდებიან, იმოსებიან გარსით, ცოტა ხნის შემდეგ არღვევენ დედობრივ გარსს და გამოდიან გარედ. ამნაირად ერთი ამიობიდან ჩნდება ბევრი ამიობა. გაყოფით გამრავლების დროს ჯერ იყოფა ბირთვი და მერმე პროტოპლაზმა. მომეტებულ შემთხვევაში ბირთვის გაყოფა სულ მარტივია, ბევრში კი დიდად რთული. პირველი ჩვენ უკვე მოვიყვანეთ ზემოდ, რაიცა შეეხება მეორეს—აი, ამის მაგალითი. ავიღოთ რომელიმე რთული ორგანიზმის უჯრედი და გავსინჯოთ მიკროსკოპში. პირველი შეხედვით ის არაფრით არ განირჩევა ერთუჯრედიან ორგანიზმის უჯრედისაგან. როგორც სხვა ყველა უჯრედი, ისიც შესდგება ბირთვისაგან და პროტოპლაზმისაგან, მაგრამ ნუ მოვაშორებთ თვალს, ჩაუკვირდეთ გულდასმით და მალე დავრწმუნდებით, რომ ბირთვი განცალკევებული ყოფილა პროტოპლაზმისაგან. ეს ბირთვი შესდგება ორი ნივთიერებისაგან: ბირთვის წვნიდან და ხრომატინისაგან. (ხრომატინი ნიშნავს იმას, რომ ბირთვის ნივთიერება ადვილად იღებება საღებავით). ამათ გარდა პროტოპლაზმაში ძევს „შუაგული სხეული“ ანუ „ცენტროზომა“ (ზოგიერთ სწავლულთა შეხედულობით ცენტროზომას უპირველესი ადგილი უჭირავს უჯრედის ცხოვრებაში). მოაღწევს თუ არა გამრავლების დრო, ხრომატინი მოძრაობას იწყებს, სქელდება, ცენტროზომა იზრდება და იყოფა ორად, დაყოფილი ნაწილები შორდებიან ერთი მეორეს, მერმე როგორც ხრომატინი, ისე ცენტროზომა სხვა და სხვა ნაირად იცვლებიან, იცვლიან ადგილს, აგებულებას, და ემსგავსებიან თითისტარს, შემდეგში იყოფიან, ამ დროსვე იყოფა პროტოპლაზმაც. ამ რიგად ერთი სხეულიდან იბადება ორი სხეული; ორთავე ერთი და იგივე აგებულების არიან და სავსებით ჰყვანან დედობრივ სხეულს. როგორც სჩანს, ეს გამრავლება დიდი რამ რთული ყოფილა. ამის შესწავლას არა ერთი სწავლული დაუფიქრებია—მაგრამ ყველაზე უფრო სავსებით მიზნისათვის მიუხწევია პროფ. ბოვერს. ყოვლად-ღირს შესანიშნავია მისი დიდი ხნის შრომა. სამწუხაროდ ადგილი ნებას არ გვაძლევს ვრცლად შევჩერდეთ ამ შესანიშნავ შრომაზე. ვისაც ეინტერესება საკითხი, შეუძლიან მიმართოს თვით დედანს (Boveri. Das problemder Befruchtung 1902)

ჩვენ მოვიყვანეთ სამი მაგალითი გაყოფით გამრავლებისა. ერთი ვიკითხოთ: რას გვეუბნებიან ეს მაგალითები? რას მოასწავებენ? ძნელი არაა ამაზე პასუხის მიცემა. ეს მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ ზოგიერთი უჯრედის გამრავლების დროს იხარჯება მთელი უჯრედი, მისი სხეული გადადის, და სამაგიეროდ ჩნდება ორი სხვა ახალი, დედობრივი სხეული სპობს თავის სიცოცხლეს, მაგრამ ამასთანავე აჩენს ორ ახალ სიცოცხლეს; ყოველივე ცოცხალი არსება ერთ და იმავე დროს მომაკვდავიც არის და უკვდავიც. მომაკვდავია, როგორც დამოუკიდებლად მცხოვრები და უკვდავი როგორც სხვა არსებათა გამჩენი და მათი სულის შთამბერავი. ამ ნაირადვე პაწაწა უჯრედიც ერთ და იმავე დროს უკვდავიც არის და მომაკვდავიც, ისიც თავის სიცოცხლეში იმასვე განიცდის, რასაც განიცდის დიდი არსება.

როგორც აღნიშნული იყო, გაყოფა მეტად მარტივი ფორმაა გამრავლებისა. გაყოფით მრავლდებიან ბევრი ერთ უჯრედიანი ორგანიზმები—მაგრამ ზოგიერთი უჯრედი მაგ. ინფუზორია სპირიხენა მრავლდება ჰკოკობით (почкованіе). როგორც თვით სახელი გვიჩვენებს, ჰკოკობით გამრავლების დროს ინფუზორიის შუა ადგილს გამოუდის ჰკოკის მზგავსი ნაწილი, ეს ნაწილი თან და თან იზრდება, სრულდება და მერმე შორდება თავის მშობლებს. იმოსება წამწამებით და იწყებს თავისუფლად ცხოვრებას.

გამრავლების მესამე ფორმას წარმოადგენს სპორით გაჩენა (спорообразованіе). როგორც ვიცით, ბუნებაში ბევრი სხვა და სხვანაირი ბაქტერიაა—ბევრი ბაქტერია თავის ტანიდან ჰყრის სპორებს. სპორა—პაწაწა მრგვალი უჯრედია—ის ადვილად იტანს როგორც სიცივეს, ისე სიცხეს, არ საჭიროებს ბევრს სასმელ-საჭმელს, ხანდისხან შეუძლია იცვლოს თავი მარტოკა მრავალი ბადით, ხან ამასაც არ საჭიროებს—როგორც კი მოხვდება სითბო, მაშინვე ამოძრავდება, იზრდება და იქცევა ბაქტერიად მეოთხენაირ გამრავლებას წარმოადგენს განახლება (обновленіе). განახლებით მრავლდება მაგალითად ედოგონია. ედოგონია, როგორც კლ. ბერნარის და რ. გარტვიგის გამოკვლევიდან სჩანს, წარმოადგენს წყალ-ბალახს. ის გრძელი ტანისაა და შესდგება ერთ რიგად დამწკრივებულ უჯრედებისაგან. როგორც ამ ედოგონის გამრავლების დრო დაუდგება, მისი უჯრედები ამოძრავდებიან, პროტოპლაზმა იდენთება, სქელდება, აწვება გარსს, ჰგლეჯს და გამოდის გარედ. გამოვა თუ არა გარედ იკუმშება, მრგვალდება, რომელიმე გვერდზე უჩნდება ულვაშები და იწყებს თავისუფლად ცურვას წყალში. ცოტა ხნის შემდეგ იმოსება გარსით და ჩერდება. ამის შემდეგ იწყებს გამრავლებას: პროტოპლაზმიდან გამოდის ახალი წყალ-ბალახი.

მეხუთენაირ გამრავლებას წარმოგვიდგენს კონიუგაცია ანუ ჩვენებურად შეერთება. კონიუგაციით მრავლდებიან მაგ. ნოქტიულიკები, რომლებზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი წინა წერილში. ნოქტიულიკები (ანუ ჩვენებურად ღამე ქნათობნი) ერთ უჯრედიანი ორგანიზმებია, სცხოვრობენ ზღვაზე. მათი გამრავლება შეუსწავლია იაპონელ პროფ. იშიკავას და ჩვენც ვსარგებლობთ მისი მშვენიერი აღწერით.

გამრავლების დროს ორი ნოქტიულიკა უახლოვდება ერთი მეორეს და თან და თან უერთდება. შეერთების დროს ორთავეს პროტოპლაზმა ირევა ერთი მეორესთან, რაიცა შეეხება მათ ბირთვებს, ისინი ჯერ უახლოვდებიან ერთი მეორეს, ცოტა ხნით შეერთდებიან მერმე კი შორდებიან — ამ დრო[ს] პროტოპლაზმა იყოფა ორად, ამა[ს] მიჰყვება ბირთვი და ასე ამნაირა[დ] იბადებიან ახალი ნოქტიულიკები. რას გვეუბნება ეს მაგალითი? რისთვის ერთდებიან ნოქტიულიკები? ხომ აშკარაა, რომ ორი ნოქტიულიკიდან გაჩნდა მხოლოდ ორი ნოქტიულიკა! როგორც პროფ. იშიკავა გვარწმუნებს, ნოქტიულიკები ერთდებიან იმისთვის, რომ შესცვალონ თავიანთი პროტოპლაზმა, განაახლონ იგი და ისე შეუდგნენ ახალ მუშაობას — გამრავლებას. სჩანს ნოქტიულიკა დაღლილა, დასუსტებულა წინა მუშაობით, თორემ ის რა საჭირო იყო მისთვის პროტოპლაზმის შეცვლა და განახლება!

ვისაც მიკროსკოპით გაუსინჯავ[ს] დამპალი წყალი, უეჭველია, შენიშნავდა, რომ ამ წყალში ხშირა[დ] ჰცურავს და გიჟმაჟურად ხტის ერთ[ი] გვარი ინფუზორია, რომელსაც უწო[...]დობენ „სუვოიკა“. ეს ინფუზორი[ა]აც გამრავლების დროს იძებს მეორე სუვოიკას, უერთდება, იკრე[ბს] ძალას და მერმე იწყებს გამრავლებას.

საუცხოვოა პარამეციის მოქმედე[...]ბა გამრავლების დროს. ის კუდიანი ინფუზორიაა, სცხოვრობს დამპალ[...] წყალში, მუდამ მუშაობაშია, დასვენებისა არა სწამს რა. როგორც პროფ. მოპი ირწმუნება, ბევრი მუშაობის შემდეგ პარამეცია იმდენად იღლება და სუსტდება, რომ ბევრ შემთხვევაში ვეღარ ახერხებს გამრავლებას — ამისათვის ისინი თავის[...] სებურად უერთდებიან ერთი მეორეს, იმიგრებენ წელს და მერმე მრავლდებიან.

აი როგორ აგვიწერს მათ შეერთებას პროფ. რიჰარდ გარტვიგ[ი]

*) იხ. „სახალ. გაზეთი“ N 47.

ოჰ, რა ტანჯვას ვგრძნობდი მაშინ და ვიძახოდი:

რატომ? რატომ? რატომ?

ნ. ლორთქიფანიძე.

# ჩვენი კოდექსი

ერთი სცენა ვნახე რუსეთში.

რესტორანია.

ერთს მაგიდასთან ორი ამხანაგი იმ მდგომარეობამდისაა მისული, რომ იქ მყოფთა „პიროვნების" ხელ-შეუხებლობა განსაცდელშია.

აი ერთმა თავი მაღლა აილო და მღვრიე თვალები მიმოავლო მეზობელ მაგიდებს, სადაც თვალში ეცა ერთი ქერა, რომელიც თავისს სიცოცხლეში არსად ენახა. შეამჩნია ის და ფასიც დასდო.

— ვ-ვ-ვასია! ჰხ...ედავ ა...აი...მ ქე...რ...ას?

— ვ ვხედავ- -უპასუხებს ვასია.

— მე... მ...ინდა იმას ვ...უთავაზო... კარგი ს...სილა!

ცხადია, ვასია ჯერ არ მისულა იმ წერტილამდის, საიდგანაც უცხო „ცხვირ-პირის" ისეთი სასცდური შეხედულება მოსჩანს ხოლმე. ვასია ჯერ არა სრულიად გაფრენილა გონების კუდს ეჭიდება და ჰკითხავს.

— რისთვის, ვანია?

— შ...ენ ფიქრი ნუ გ...აქვს, მ...იზეზს ვუპოვი!

ვანია ადგება, მიბორტმანდება ქერასთან, დაუდგება წინ და დიდხანს აბეცებს თვალებსა. ქერა გაკვირვებული შესცქერის...

— ხ...ხ...არკოვში ყოფილ...ხარ? ჰკითხავს ბოლოს ვანია.

— ხარკოვში? არა, არა ვყოფილვარ.

— ახ! არა ყოფილხარ? თხლაშ! სილა უთავაზა.

ვანიამ შეასრულა თავის საწადელი: უდანაშაულო კაცს სილა უთავაზა...- და მიზეზიც კი გამოუნახა: ხარკოვში არ ყოფნა.

ლოღიკისა და სამოქალაქო მორალის დაგვარ კანონის თვალით რომ შევხედოთ, იქნება ეს მიზეზი საკმაო არც კი იყოს; მაგრამ აწინდელი ცხოვრების იმ პრინციპის თვალთახედვით, რომელიც ამბობს, —მე მინდა სილა ვუთავაზოვო, ეს მიზეზი სრულიად საკმაოა.

— ხარკოვში არა ყოფილხარ?

— არა.

— თხლაშ!

ეს სცენა გვინათებს ადამიანის დამოკიდებულებათა პატარა სურათს კი არა, რომელიც არაყის ნახევარბოთლში ჩაეტევა; იგი საზოგადო სატირაა მთელი ჩვენი ცხოვრებისა, რომლის საფუძვლადაც ყველგან შეუდრეკელი ტენდენციაა: სილა უთავაზო უცნობსა და უდანაშაულო ქერას, გინდ შავგვრემანსა. უსათუოდ! ეს—დანიშნულებაა! და იგი ყოველ დღე მოცადინედ და მტკიცედ სრულდება, თან მიზეზი, რასაკვირველია, ყოველთვის ჩნდება.

— ნუ სწუხარ, მიზეზს ვუპოვი.

მე მაგალითებით შემეძლო დამემტკიცებინა, რომ ვანიას სამოქალაქო დამოკიდებულებათა კოდექსი— ძლიერ მარტივი კოდექსი—აწესრიგებს ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს. დიაღ, თუმცა ძალიან სამძიმო და საშინელია ეს, მაგრამ უკანასკნელი დროს საზოგადოებრივ ურთიერთობაში, პოლიტიკაში, ლიტერატურაში, ყველგან ეს ქვასავით მტკიცე დოგმატია გამეფებული; და ეს ერთდროულად მიზანიც არის, საშუალებაც, დირექტივაცა და მეთოდიც:

— ერთს სილას ვუთავაზებ!

ჰკითხეთ—რად? რასაკვირველია, ისე მარტივად და უბრალოდ, როგორც დალეული შტოფი ნებას აძლევდა ვანიას ეთქვა, ვერ გიპასუხებენ, მაგრამ თავანთთვის კი აუცილებლივ იხელმძღვანელებენ იმავე დამამშვიდებელი მოსაზრებით:

—ნუ გეშინიან, მიზეზს ვუპოვი.

რასაკვირველია, მიზეზის პოვნა ძნელი არ არის. ძნელი არ არის მით უფრო, რომ ის არსებითად არც საჭიროა. არავინ და არაფერი არ აიძულებს ვანიას, ჩვენი დროის გმირს, ეს მიზეზი წარუდგინოს, მაგრამ თითონ ვანიას უყვარს დეკორუმი; ვანია „პატივსა სცემს პრინციპს"... ვანიასათვის აუცილებელია ადამიანთა დამოკიდებულების ფორმულა- ამ ფორმულას გულისათვის ის მზად არის რამოდენიმე ხნით გადასდოს თავისი სურვილის ასრულება—ცოტა გვიან უთავაზოს ქერას სილა და მიზეზი კი მოუძოს. ვანიას სიმართლის ბუტაფორული გრძნობა აქვს და მხოლოდ იმისთვისა სცდილობს. ხოლო ამ გვარ სიმართლისთვის ყველა მიზეზი კარგია..

— ხარკოვში ყოფილხარ?

— არა.

— ახ, არა?—თხლაშ.

განა ეს მიზეზი არ არის?

დიაღ, ამ გვარი ვანია ჩვენს ცხოვრებაში ბევრია.

— საზოგადო მოღვაწე, პოლიტიკოსი, ლიტერატორი, მხატვარი, და ბევრი ნაოვარი სხვა ვანიები, რომლების ჩამოთვლაც შეიძლება ბევრს არ ესიამოვნოს.

გ. ნამორაძე.

# მოწერილი ამბები

**ცხინვალი.** რაც ცხინვალს ხოლერამ დღე დაუენა 1892 წელს, შედარებით არც ერთ დიდ ქალაქს ის დღე არ დასდგომია ხოლერის გამო, მაგრამ ცხინვალელებს წუკა ვერაფერმა ვერ ასწავლა. დღეს დაფარული ადარავისათვის არის, რომ ხოლერა კარზეა მომდგარი და ვაი იმას, ვინც ფაქიზად არ დაუხვდება. ყველგან თუ შესაფერ ღონესა ხმარობენ, ცხინვალელებს ყურზედაც სძინავთ. ცხინვალში ყველგან უსუფთაობა და სიბინძურე გაზეირებათ თვალში. ყოველ ადგილას საქონლის საკლავი (ბოინი) აქვთ გამართული, ხოლო ცხინვალელებს მეტ პარგად მიუხნევიათ ეს. ყველა აქაურ ყასბებს უფრო ეადვილებათ თავიანთსავე დუქანში დაჰკლას, რაც დასაკლავი ჰყავს. რას დაგიდევს, თუ საქონლის ფაშვიდან საშინელი სუნი ამოდის და აურიდებს იქაურობას. ყველა დუქანს ბოსელი ზედ აკრავს, მერე როგორ ბინძურად ინახავენ ბოსლებს! მაგრამ ბოსელი რაა, დუქნებშიაც არ შეესვლება ადამიანს. ასეთი სიბინძურეა იქ, სადაც ქართველები და სომხები სცხოვრობენ. ებრაელების უბანში ამაზე უარესია. მთელი ცხინვალი რომ შემოიაროთ, 5 ფეხისადგილს ვერა ნახავთ, ებრაელების უბანში ხომ არცა ყოფილა და არც იქნება. არც სოფლებია გაწმენდილ-გასუფთავებულნი. მე ხემის თვალითა ვნახე ახაბეთაბი, ქურთა-გეხვი, და მრავალი სხვა სოფლები, სადაც პატივის ზვინები ედგათ შიგ შუა სოფელში, ცხვირ-წინ. ფიხვები წაუფარებიათ, სადაც უზარმაზარი ვირ-თაგვები გაჩენილან. ამას გარდა, რომ ცუდი სუნი დგას ამ პატივის ზვინებიდან, კრუხ-წიწილს მოსვენება არა აქვთ ამ ვირ თაგვებისაგან, რომელნიც მრავლად ბუდობენ ამ ფიჩხით დაფარულ ზვინებში. არც სხვა ფრივაა სოფელი უზრუნველ-ყოფილი. უზარმაზარ თავის ზვინები მიუტანიათ სოფელ ქურთაში და შიგ სოფლის მცხოვრებ შუა ხაუშველნიათ, ცეცხლიდგან. სწორეთ თრ ნაბიჯზედ. ასე რომ ერთი ნაპერწკალი რო გადავარდეს მთელ სოფელს ნაცრად აქცევს. ეს უწესრიგობა მცხოვრებლებმა მამასახლისსაც გამოუცხადეს, მაგრამ ყურიც არ შეუბერტყნია. როდესაც რაიმე უბედურება დაატყდება სოფელს, მაშინ შეუძრამთ ხოლმე ქვეყანას და სამოწყალოთ ხელს გაშვერთ, სწორეთ ეს დაგვემართება წელსაც ხოლერისაგან იქნება ცეცხლისაგან ან სხვა რამ მთარულისაგან, თუ დღესვე წესიერი სიფრთხილე არ გამოიჩინა ხალხმა

სასიამოვნოა, რომ მშრომელი მხიარულის თვალით დაჰყურებს თავის ნაშრომს და სტკბება. თუ გაშუდმებულმა აგდრებმა არ შეუშალა ხელი, კარგი მოსავალი იქნება. ზოგმა კიდეც გალეწა, ბევრს კი არ გაულეწია. ბაზარზე უკვე გამოქვთ ახალი მოსავალი: ქერი ფასობს 50 კაპ. ფუთი, ხოლო ჩური 75 კაპ. თუმცა ყანახებსაც მშვენივრად ასხიათ და ბევრს შარშანდელი ღვინო აქვს გასაყიდი, მაგრამ 10 მანეთიანი კოკა (20 თუნგია) 13—14 მანეთზედ ასწიეს. მოვიდა მოსწავლე ახალ-გაზრდობა და აქაურობას ელფერი დაედო. აპირობენ წარმოდგენების გამართვასაც და იმედია ცხინვალელებისაგან მივიწყებულ სამკითხველოსათვისაც იზრუნებენ რასმე. აქამდის სამკითხველოს შენახვა და მოვლა ერთ კაცს აწვა კისერზედ, ეხლა მინც შეაგროვებენ ორიოდე მანეთს და უზრუნველ-ჰყოფენ ცხინვალის მრავალ ტანჯულ სამკითხველოს არსებობას

ვინცა ვარ.

**დუშეთის მაზრა.** წინა წლების მოუსავლობით გაძვალ-ტყავებულ გლეხკაცობა იმედიანად შეჰყურებდა წლევანდელ მოსავალს, რომელსაც ძლიერ კარგი პირი უჩანდა, მაგრამ ბრმა, უღმობელმა ბედმა მას კვლავ ზურგი აქცია, და ერთად-ერთი იმედი სიკეთის დროს გაუქარწყლდა. 3 ივლისს, დიდი სიცხეების შემდეგ, ნაშუადღევის 4 ს. და 23 წუთზე, დუშეთში და მის გარემო ადგილებში მოვიდა ძლიერი წვიმა, ალაგ-ალაგ ქათმის კვერცხის-ოდენა სეტყვა წამოუშინა, სეტყვამ თვით ქალაქში მთლად ჩალეწა ჩრდილო-დასავლეთის მხრივ შუშები და კრამიტი და ქალაქ გარედ კი საშინლად დაზიანა ჯერ კიდევ მოუმკავი ყანები და ბაღვენახები; დახოცილია სეტყვისაგან ბევრი შინაური ფრინველი და წვრილ-ფეხი საქონელი; უცბად მოვარდნილ ნიაღვარს დაუხრჩვია ს. მზვარეთში ოთხი —და ს. წიფლის წყაროში—ერთი ბავშვი, ხნით 2—7 წლამდე; მომეტებულად დაზარალებულია მთელი ქსნის ხეობა, ბაზალეთის, გრემისხევის და ფშავიდის საზოგადოებები; ზარალი ფრიად დიდია, მის გამოსარკვევად ქსნის ხეობისაკენ 5 ივლისს გაემგზავრა მაზრის უფროსი კადინინი მომრიგებელ შუამავალ ყიფიანთან ერთად.

გიგო.

—

**ლეჩხუმი.** მოხდა ამ ერთი კვირის წინედ შემაძრწუნებელი ძალმომრეობა. გასულ კვირას წინად ზემო სვანეთიდან ჩამოიყვანეს ცნობილი ყაჩაღი ნესტორ ყორყოლიანი და ჩასვეს ცაგერის სატუსაღოში—მარშან ოსების მოკვლისა და გაძარცვისათვის. ნ. ყორყოლიანი ცნობილია იმითი, რომ მან ზემო სვანეთში ამ 8.9 წლის წინად რამოდენიმე უდანაშაულო სვანის სიცოცხლე იმსხვერპლა, დააქცია ოხრა რამდენიმე ოჯახი და ამისთვის იგი გაგზავნეს 15 წლით კატორღაში, მაგრამ ყორყოლიანს იქ ბედმა გაუღიმა— და რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს თავგანწირულ ბრძოლისათვის იგი გაანთავისუფლეს და ჯვარ-მენდლებით დაჯილდოვებული კვლავ მოევლინა სვანეთს, მაგრამ ხელობა ძირავე არ შეუწყვეტია. მარშან, როდესაც ნ. ყორყოლიანი მხანაგებით უარაჩიდან (ოსეთია) ნადავლით ადისავდა სვანეთის საზღვარს მიადგა, აქ საზღვრის დარაჯი ოსები დახვდნენ. ყორყოლიანმა ამხანაგებიანურთ დახოცა დარაჯები, დასცარცვა ისინიც და შინ მშვიდობით დაბრუნდა.

იმ დროის სვანეთის პოლიციამ რადაც „მიზეზებისა გამო" ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ნესტორას საუბედუროდ ბოქაულმა მოწყალე თვალით ვერ შეხედა—გათოკილი გამოგზავნა ცაგერს.

18 ივნისს დილის, 7 საათზე, როდესაც ციხის ერთი დარაჯი ცხენის მოსავლელად წავიდა, ხოლო მეორე დარაჯი გარედ საჭიროებისათვის გასულა, ყორყოლიანს უსარგებლნია დროთი და ამხანაგ რატიანითურთ არხეინად გამოვიდა დაკეტილ საკნიდან, თოფ პატრონები დაისაკუთრა და არხეინადვე გაუდგა გზას. როცა იქნა გაიგეს და აუშვეს პოლიციის მაძებარი „განათლებული" ძაღლები, მაგრამ ძებნა უნაყოფო შეიქნა. ამ გარემოებით გაბრაზებული მაზრის უფროსი ბ. ენუქიძე მივიდა სტრაჟნიკებით სატუსაღოში, მცირე გამოკითხვის შემდეგ ეცა ტუსაღ აზ. ჯაფარიძეს და სამჯერ სილა გააწნა, მერე უბძანა სტრაჟნიკებს—აღ. ასათიანს და დომნიკს ჯაფარიძის ცემა, რომლებმაც იმდენი სცემეს მათრახით, სანამ დასისხლიანებული უგრძნობლად არ დაეცა. ჯაფარიძის საცოდავი ყვირილი ცას აღიოდა.

ამ დროს ცაგერში იმყოფებოდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიაა და გაიგო თუ არა ეს ამბავი პროკურორის ამხანაგმა, მივიდა ციხეში ნაცემ ჯაფარიძესთან, გამოკითხა საქმის გარემოება და უთხრა წერილობითი განცხადება შემოეტანა მასთან. საბრალო ჯაფარიძე დიდ-ხანს ყოყმანობდა საჩივარზე, რადგან ეუბნებოდნენ, რომ არ უჩივლო, თორემ მოგკლავენო, მაგრამ ბოლოს გაბედა და ერთი თხოვნა პროკურორს გაუგზავნა ქუთაისში, ხოლო მეორე გუბერნატორს.

ყორყოლიანის დასაჭერად სტრაჟთა კამანდა აფიცრით და ცნობილი ჭეჟა ზარკვიანი გაჰგზავნეს ზემო-სვანეთში. როგორც ზემო-სვანეთიდან მოსულები ამბობენ, ისეთ მკაცრ ზომებს თურმე ღებულობენ და ისეთ უსამართლობას სჩადიან, რომ კაცი ელდით აუწერელია.

ვიმეორებ, რომ ასეთი მხეცური საქციელი ძვირად სადმე მოხდება, მაგრამ ლეჩხუმში უარესიცაა მოსალოდნელი. აქ ზნეობა და მოქალაქობრივი გამბედაობა ცოცხლად დამარხულია. ჩვენებური უფლებით აღჭურვილი საზოგადოების ნაწილი პირიქით ხელის-შემწყობია ასეთ უსამართლობისა. მარშალი, რომელიც ბუგ-ნადარით გაჰყვირის თავად-აზნაურთა ქებათა ქებას, ამისთანა შემთხვევაში, როდესაც მისს აზნაურ ჯაფარიძეს სრულიად უდანაშაულოდ ტყავი გააძრეს, წარბ-შეუხრელად სდუმს.

მკვიდრი.

# ბიბლიოგრაფია

Натроевъ А.—Иверскій монастырь на Аѳонѣ, въ Турціи. Историко-археологическая справка по вопросу о спорѣ грузинъ съ греками на право владѣнія имѣніями Иверскаго на Аѳонѣ монастыря. Изданіе П. I. Туманова, ტფილისი, გვ. I—II—455. ფასი ერთი მანეთი.

იმდენად ცოტა წიგნი იბეჭდება ჩვენს ისტორიული, სალიტერატურო და საერთოდ ჩვენი წარსულის შესახებ, რომ ყოველი ახალი წიგნი ჩვენთვის დღესასწაულს წარმოადგენს. ბევრმა იცის, თუ რა ძნელია ჩვენში წიგნის გამოცემა; ჩვენ ავტორებს წლობით უწყვიათ ხელ-ნაწერები და უფულობის გამო ვერა ბეჭდავენ. ძლიერ სასიამოვნოა და სასიხარულო, როდესაც ჩვენი შეძლებულნი მამულისშვილნი თავს იდებენ წიგნის გამოცემას და მით ემსახურებიან სამშობლოს წინმსვლელობას. თვითეული ახალი წიგნი საქართველოს შესახებ— ახალი ნაბიჯია პროგრესისაკენ, საუკეთესო მაჩვენებელია ჩვენი ეროვნული შეგნებისა. მაშასადამე, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას ადგილი უნდა დაეთმოს საყოველდღეო ჟურნალ-გაზეთში, რათა უბრალო მკითხველმა იცოდეს რამდენათ ვიწევთ წინ კულტურისაკენ.

ბ. ნატროშვილის წიგნი ყურადღების ღირსია. ის ეხება სრულიად გამოურკვეველ კითხვას, მაგრამ ავტორს არ განუსაზღვრავს დედა აზრი წიგნისა და ამიტომ ასცილდა თავის მიზანს. სამწუხაროდ ჩვენ და მკითხველი ახალ წიგნში „ახალს" ბევრს ვერ იპოვნის. რაც არის ნათქვამი უკვე გაგვიგონია, წაგვიკითხავს და ხელ-ახალი გამეორება საჭირო აღარ იყო. წიგნის პირველ ნაწილში 1—270 გვერდამდე (სულ წიგნი შეიცავს 455 გვერდს) ავტორი მოგვითხრობს ათონის მთაზედ ქართული მონასტრების ისტორიას საერთოდ და ივერიისას კერძოდ, მოგვითხრობს აგრეთვე, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდათ ამ მონასტრებს ჩვენი კულტურისთვის და საქართველოს ეკკლესიისათვის, მოიხსენებს რა დასახელებულ მონასტრების გამოჩენილ ბერ-მონაზონთა და მოღვაწეებს, გვაცნობს რა წეს-წყობილება არსებობდა ჩვენ მონასტრებში; ყველა ეს კითხვები არ ახალია ჩვენს ისტორიულ ლიტერატურაში. რაც ბ. ნატროშვილს აქვს ნათქვამი, ყველა ესენი წინადაც ვიცოდით ბბ. ხახანაშვილის, ცაგარლის, მარრის და სხვების ნაწერებიდან. გამეორებას აზრი მხოლოდ მაშინ ექნებოდა, რომ ბ. ნატროშვილს შეესწორებინა ჩვენი ცნობები, ახალი მასალის შემწეობით გადაეთვალიერებინა ძველი საკითხები. ახალი, დასაბუთებული აზრი წიგნში არ მოიძებნება და თქმულის და გაგონილის განმეორება ჩვენ ღარიბ ლიტერატურას ჯერ არა სჭირდება. წიგნის ნახევარი ნაწილი ჩვენი ისტორიკოსთათვის სრულიად უვარგისია, ხოლო დანარჩენი ნაწილი წიგნისა მოკლებულია ახალ მასალას, ორი სამი შემთხვევის გარდა; ავტორს უკვე გამოქვეყნებული მასალები აქვს ხელში; რასაკვირველია, ეს ნაკლს არ შეადგენს. ნაკლი იმაში გამოიხატება, რომ ავტორი ვერ ამუშავებს მასალას თანამედროვე ისტორიულ კრიტიკის მოთხოვნილების დაგვარად. მაგალითად ავიღოთ მე-12 თავი, აქ ავტორი ეხება ივერიის მონასტრის მამულებს, ვისგან იყო ისინი ნაბოძები და რა საბუთების ძალით. (არ დაივიწყოთ, მკითხველო, რომ ავტორი იკვლევს ძლიერ საყურადღებო კითხვას—რამდენად საფუძვლიანია ბერძნების დავა ქართველებთან ივერიის მონასტრის მამულების შესახებ) მე-12 თავში მკითხველი მოელის იმ იურიდიულ საბუთების განხილვას, რომლის ძალითაც მონასტრებს ებოძებოდა მამულები, გაარკვევდა იმ იურიდიულ უფლებს, რომლის ძალით კანონდებოდა ათონის მონასტრის საკუთრება, თუ ამ მუხლებს ბ. ნატროშვილი აღნიშნავდა, მაშინ ცხადი იქნებოდა მკითხველისათვის, თუ რამდენად საფუძვლიანია ბერძნების დავა, ავტორი კი მიუთითებს მხოლოდ ბოძების ქაღალდებზედ. ვინაიდან ამ უმთავრეს კითხვას ავტორი ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს, მნიშვნელობას მოკლებულია წიგნის დანარჩენი ნაწილები. ბ. ნატროშვილი მოგვითხრობს ბერძნების და ქართველების დავას ათონის ივერიის მონასტრის მამულების შესახებ, მაგრამ დაავიწყდა იურიდიულად განეხილა ის, თუ რამდენად სამართლიანი არიან ბერძნები თავის დავაში. მკითხველმა არ იცის რა იურიდიული მოსაზრების ძალით ედავებიან ბერძნები ქართველებს. მართალია მე-16 თავში (იხ. გვ. 375—420) ბ. ნატროშვილი ვრცლად ეხება ამ დავის გარეგან ისტორიას და მიმდინარეობას, მაგრამ არსადა ბერძნების და ქართველების უფლებებს არ შეეხებია. წარმოიდგინეთ, შემდეგი კითხვა ეხება იმას, თუ ვისი კუთვნილებაა ათონის ივერიის მონასტრის მამულები, მაშასადამე კითხვა წმინდა იურიდიულია, და ავტორი არსად არა სცდილობს მოიყვანოს ორივე მოდავე მხარეთა იურიდიული მოსაზრებანი და ამ მოსაზრებათა სამართლიანობა დააფასოს. ბ. ნატროშვილის წიგნში დიდი ციტატებია მოყვანილი და ესეც დიდი ნაკლია; როდესაც ციტატები ამოღებულია ისეთ ხელნაწერებიდან, რომელიც მკითხველისა და რეცენზენტისათვის ხელმიუწდომელია, მაშინ მას მნიშვნელობა აქვს, მაგრამ როდესაც დიდი ციტატები ამოღებულია ყველასათვის ცნობილ წიგნებიდან, მათი მნიშვნელობა საეჭვოა.

ისტორიული გამოკვლევა ორ გვარი შეიძლება. ზოგი მკვლევარი სცდილობენ შეჰკრიბონ რაც შეიძლება მეტი ცნობები და მასალები, ასეთ ისტორიულ ნაწერებში ჩვენ ვერ შევხვდებით კრიტიკულ გამოკვლევას, აქ მკვლევარი მემატიანეს ემსგავსება და არა ისტორიკოსს-მეცნიერს. ამ გვარი ისტორიკოსების მნიშვნელობა ის არის, რომ აგროვებენ მასალას და მომავალ მკვლევართ საქმეს უადვილებენ. მეორე გვარის ისტორიკოსნი კი სცდილობენ არსებული და ახალი მასალის შემწეობით შეიგნონ ისტორიული მოვლენანი, ისინი უკუაგდებენ მატიანისებურ მოთხრობას და სცდილობენ გამოიკვლიონ ისტორიული კრიტიკის იარაღის შემწეობით რაიმე კითხვა. ბ. ნატროშვილის ნაწარმოები უფრო პირველ გვარ შრომებს უახლოვდება, თუმცა თავის მოთხრობაში ახალს ძლიერ ცოტას იძლევა ბ. ნატროშვილი. ძველის გადღეჭვა არ ღირს. ბ. ნატროშვილის წიგნის ღირსებას შეადგენს ის დოკუმენტები წიგნის მეორე ნაწილში, რომელიც ამოღებულია ნამესტნიკის არქივიდან.

კორრექტიული შეცდომები ბევრი არის ბ. ნატროშვილის წიგნში, ბევრი ავტორს გაუსწორებია და ზოგი დარჩენია, მათ შორის შემდეგი საყურადღებო შეცდომა: 12 გვ. არის დაბეჭდილი სია მონასტრებს იმ მამულებისა, რომლებიც გადაცემულნი იყვნენ ხაზინაში, მე 12 გვ. სია ეკუთნის 1774 წ. მე-421 გვერდზედ-კი— 1874 წ მეტი ყურადღებაა საჭირო!

სიმ. ბეპალიანი.

# თეატრი და ხელოვნება

**დ. ხონი.** კვირას, 4 ივლისს გამართულ იქმნა წარმოდგენა. ქ-ნნი ნ. ჯავახიშვილის, თ. გოგოლაშვილის, ბ-ნ ვ. შალიკაშვილისა და დ. ნ. გვარამის მონაწილეობით ადგილობრივმა სცენის მოყვარეებმა დასდგეს ლ. ანდრეევის 4 მოქმედებიანი დრამა „დღენი ჩვენი ცხოვრებისა". ამ დრამას ხონის საზოგადოება საკმაოდ იცნობს. წინათ ორჯერაც იყო წარმოდგენილი. ხალხი საკმაოდ დაესწრო. წარმოდგენამ ცოტათი არ იყოს მკრთალად ჩაიარა. სუსტად ჩაიარა პირველმა მოქმედებამ. დანარჩენი მოქმედებები ცოტა უკეთესად ჩაატარეს. გლუხოვცევის როლი კარგად შეასრულა ნ. გვარაძემ. სამაგიეროდ სუსტად იქმნა შესრულებული მეორე გმირის ონოფრეს როლი ვ. შალიკაშვილისაგან. ის მეოთხე მოქმედების გარდა ძლიერ სუსტობდა, მეოთხე მოქმედებაში კი არა უშავდა-რა. კარგები იყვნენ ამასთანავე ქ-ნ თ. გოგოლაშვილი ოლოლის როლში და ნ. ჯავახიშვილი შვილი გამყიდველ ევდოკია ანტონოვნას როლში. პირველმა როლი საკმაო გრძნობით შეასრულა. მისი თამაშით საზოგადოება ძლიერი კმაყოფილი დარჩა. კარგი

---

„ორი პარამეცია უახლოვდება ერთი მეორეს. ჯერ ერთდებიან პირით, მერმე მუცლით, ასე შეერთებულნი სცხოვრობენ რამოდენიმე დღე, დაცურავენ წყალში, დასეირნობენ, მერმე ჩერდებიან, ისვენებენ და იწყებენ გამრავლებას".

აქედან სჩანს, პარამეციებიც იმითვის ერთდებიან, რომ განაახლონ თავიანთი ძალა, გამაგრდნენ და ისე განაგრძონ მუშაობა.

ყოველივე, რაც ზემოდა ვსთქვით, შეეხება ერთ უჯრედიან ორგანიზმთა გამრავლებას. ხოლო რაც შეეხება ბევრ უჯრედიან ორგანიზმებს, უმეტესს შემთხვევაში ისინი მრავლდებიან მარტოკა კონიუგაციით. მაგ. არის ერთი წყალ-ბალახი, რომელს სახელად ეწოდება სპიროგირა. ის თავისუფლად ცხოვრობს. გამრავლების დროს ერთი სპიროგირა უახლოვდება მეორეს, მიუახლოვდებიან თუ არა, უშვებენ თავიანთ ტანიდან პაწაწა ბორცვებს, ბორცვები გადაებმიან ერთი მეორეს, შესცვლიან თავიანთ შედგენილებას, მერმე შორდებიან დედობრივ სპიროგირას და განაგრძობენ ახალ ცხოვრებას.

ასე მრავლდებიან ბუნებაში პაწაწა ორგანიზმები. ჩვენ მოვიყვანეთ რამდენიმე მაგალითი სხვა და სხვა გვარ გამრავლებისა. ეხლა ვიკითხოთ, რას გვიმტკიცებენ ეს მაგალითები? ეს მაგალითები გვიმტკიცებენ, რომ პაწაწა ორგანიზმები სულ მარტივად მრავლდებიან, იმათთვის ამ მიზნისათვის არ ყოფილა საჭირო არავითარი სპეციალური მოქმედება, ისინი დანიშნულ დროს მხოლოდ იყოფიან და ამ გაყოფით ადვილად მრავლდებიან—მაგრამ ორგანიზმი, რაც რომ უფრო მაღლა დგას ცხოვრების საფეხურზე, სხვა და სხვანაირად მოქმედობს. სხვა და სხვა საშუალებას ხმარობს განაგრძოს თავის შთამომავლობა. ამიობა სულ მარტივი სხეულია და ისიც მრავლდება გაყოფით. სპიროგირა, პარამეცია და ედოგონია—ამიობაზე უფრო მაღლა დგანან და ამისათვის ისინი სხვა და სხვა ნაირად მრავლდებიან.—ამ ნაირად ყველაზე მარტივი გამრავლება.—გაყოფაა, გაყოფაზე უფრო რთულია განახლება, განახლებაზე—კონიუგაცია.

როდესაც უჯრედი მრავლდება გაყოფით ან ქაქაობით, ის მრავლდება უსქესოდ. სპორით გამრავლება და განახლებაც უსქესო გამრავლებაა—მაგრამ ერთია შესანიშნავი. გაყოფით და ქაქაობით გამრავლების დროს იხარჯება უჯრედის რომელიმე ნაწილი, განახლების დროს—მთელი უჯრედი, კონიუგაციის დროსაც იხარჯება მთელი უჯრედი, მაგრამ უფრო რთულად, ვიდრე განახლებისას. რამდენად გაყოფა მარტივი მოვლენაა, იმდენად კონიუგაცია რთულია—კონიუგაცია ბევრად უახლოვდება სქესურ გამრავლებას. ბუნებაში ყოველივე ცოცხალი მრავლდება ორ ნაირად, ერთი—სქესით და მეორე უსქესოდ. ერთ უჯრედიან ორგანიზმები მრავლდებიან უსქესოდ, ბევრ უჯრედიან რთული ორგანიზმები—სქესით. უსქესო გამრავლების დროს ორგანიზმი მრავლდება დამოუკიდებლად, მისთვის არაა საჭირო სქესური ორგანოები, სქესიურ გამრავლების დროს კი საჭიროა ეს ორგანოები, კონიუგაციის დროს ორგანიზმი უახლოვდება მეორე ორგანიზმს, უერთდება და სცვლის თავის შედგენილებას, მაგრამ ამ შეერთების დროს ის არავითარ სპეციალურ ორგანოს არ ხმარობს. სპეციალური გამამრავლებელი ორგანო ორგანიზმს უჩნდება, როდესაც ის იწევს ცხოვრებით საფეხურზე. ამაზე შემდეგ.

დ. ა.

იყო ეგრეთვე ვ. შალიკაშვილი ექიმის როლში და შ. ხონელი აფიცრის როლში. სცენის მოყვარეებმა ამ საღამოს ძლიერ მკრთალად ითამაშეს. შემდეგი წარმოდგენები 10—11 ივლისს გაიმართება ვალ. გუნიას მონაწილეობით. წარმოდგენილი იქნება ჯერ ხონის სცენაზე დაუდგმელი პიესა ნ. შიუკაშვილისა: „მეგობრობა“, და მეორე დღეს კი „გაზაფხულის ნიაღვარი“. ეჭვი არაა, ორივე პიესა დიდძალ საზოგადოებას მიიზიდავს.

**მაღალი.**

## წერილი რედ. მიმართ

ქალბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის „სახალხო გაზეთის“ მახლობელ ნომერში ადგილი დაუთმოთ შემდეგ და მით საშუალება მომცეთ პასუხი გავცე „სახალხო გაზეთის“ მე № 33 მოთავსებულ ხარაგაულიდგან ბ. რისხვის კორესპონდენციას, სადაც ბ. რისხვა შესდგომია ადგილობრივი ერთკლასიანი ქალთა სკოლაში სწავლის საქმის დაფასებას. მე ასე მგონია: დასკვნა მაშინ არის სამართლიანი, როდესაც მსჯელობა საგანზედ მიუდგომელი და ყოველ მხრივია, როდესაც საქმის ან რომელიმე საგნის დადებითი და უარყოფითი მხარეები გამორკვეულია. ამისთანას ბ. რისხვის დასკვნაში კი ვერ ვხედავ. მისი აზრით ადგილობრივი ქალთა სკოლაში სწავლის საქმეს ვითომდა არავითარი დადებითი მხარე არ ჰქონია.

აი, რას ლაპარაკობს ბ. რისხვა „ადგილობრივი ქალთა ერთკლასიანი სკოლაში პირველი განყოფილებიდან დაწყებული მესამემდის ყოველ საგნებში ქართულში, რუსულში და საღმრთო სჯულში საკმაო მოთხრობები, ლექსები და იგავარაკები გაუვლიათ, მაგრამ ყოვლად უაზროთ და შეუგნებლად. ანგარიშში უბრალო რიცხვების შეფარდებაც არ იციან და სხვა“. გამოდის, რომ ბავშვებმა 2+2=4 და არა ხუთი, როგორც ბ. რისხვას გონია, არ იციან, 2—1=1 და არა სამი და სხვა. ბოლოს აიე დაასკვნის: „საერთოდ სწავლის საქმე ამ სკოლაში სუსტად არის დაყენებული, რომლის უმთავრესი მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ამ სკოლის მასწავლებელ ქალს ღრმად ჰქონია ძვალ-რბილში გამჯდარი პირველ წლიდგანვე საგნების რუსულ ენაზე სწავლება“. აიე რომ, მისი აზრით, ქართულ ენასაც რუსულად უნდა ვასწავლიდე. ცოტა ზევით ბ. რისხვა მოგვითხრობს: „ხარაგაულის ვაჟთა ორ-კლასთან სკოლაში სწავლის საქმე ყოველ განყოფილებებში სასურველ ნიადაგზეა დაყენებულიო“.

მე ვერ გამიგია ბ. რისხვასი. ამისთანა ცალ მხრივი მსჯელობა, ვერ გამიგია ისიც, თუ რითი ხელ-მძღვანელობს ის ამისთანა მსჯელობის დროს, ვერ გამიგია, თუ რა უნდა, რომ მკითხველების ყურადღება მიაქციოს, ქართულ ენას, თუ ჩემ პედაგოგიურ გამოცდილებას?!.. ვთხოვ ბ. რისხვას ამ ორ უკანასკნელ კითხვაზე პასუხის ღირსი გამხადოს.

ჩემის აზრით, თუ ბ. რისხვა ქართულ ენას აქცევს ყურადღებას და რუსული ენა ხელის შემშლელად გამოყავს, იმ შემთხვევაში გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ მისი შეხედულება ადგილობრივი ორ კლასიანი სკოლაში სწავლის საქმეზე სიმართლეს მოკლებული უნდა იყოს, ესე იგი, ქართული ენა, თუ არა სხვა საგნები ვერ იქნება სასურველ ნიადაგზე დაყენებული.

თუ ბ. რისხვა ჩემ პედაგოგიურ გამოცდილებას ეხება, ვთხოვ უმორჩილესად, დანიშნოს ექსპერტები ჩემი გაკვეთილისთვის, რომლებიც გარჩევის შემდეგ მკითხველებს მიაწვდიან სიმართლეს. შესახებ იმისა, რომ ჩემი მოწაფეები არც იმდენად სუსტნი არიან, როგორც ეს ბ. რისხვასა ჰგონია შემიძლიან საჭიროების დროს დამამტკიცებელი საბუთები წარმოვადგინო.

ხარაგაულის ერთკლასიანი სკოლის გამგე **ანნა ხაძაგლიშვილისა.**


## განცხადებანი




Мотцль и К. N 187602. (10—5.—10)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბებ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—139

## დოქტ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1½—2 ს. შინაგ. და ბავშვთა ავად.

**კბ. ექ. მ. ფ. ბოგდანოვა:** 9½—1 ს ექიმობა, პლომბა, ხელოვნ. კბილები.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერშაცი:** 6—6½ ს. საბებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**


## მატარებლების მიმოსვლა

**18 აპრილიდან 1910 წ.**

საათები ნაჩვენებია ტფილისის დროს მიხედვით, რომელიც პეტერბურგისაზე 58 წუთით წინაა.

**ტფილისიდან გადის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმისკენ:** | N 1, სწრ.—საღ. | 11 ს. 28 წ. |
| | N 3, საფ-ს.—დღ. | 1 ს. 24 წ. |
| | N 5, სამგზ.—საღ. | 7 ს. 31 წ |
| **ბაქოსკენ:** | N 2, სწრაფ.—დილ. | 8 ს. 15 წ. |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 10 ს. 4 წ. |
| | N 12, სამგზ.—დღ. | 2 ს. 38 წ |
| **ბორჯომისკენ:** | სამგზ.—დილ. | 8 ს. 28 წ. |
| | სამგზავ.—დღ. | 3 ს. 36 წ. |
| **ჯულფისკენ:** | საფოსტო—ღამ. | 12 ს. 22 წ |
| **ერევნისკენ:** | სამგზავრო—დღ. | 4 ს. 15 წ. |

**ტფილისში მოდის**

| | | |
|---|---|---|
| **ბათუმიდან:** | N 2, სწრ.—დილ. | 7 ს. 25 წ |
| | N 4, საფ-ს.—საღ. | 9 ს. 4 წ. |
| | N 6, სამგზ.—დილ. | 11 ს. 4 წ. |
| **ბაქოდან:** | N 1, სწრფ.—საღამ. | 10 ს. 36 წ. |
| | N 3, საფოს.—დღ. | 12 ს. 24 წ. |
| | N 1. სამგზ.—დილ. | 6 ს. 58 წ. |
| **ბორჯომიდან:** | სამგზ.—დილ. | 6 ს. 28 წ. |
| | სამგზ.—საღამ. | 8 ს. 08 წ. |
| **ჯულფიდან:** | საფოსტ.—დილ. | 6 ს. 8 წ. |
| **ერევნიდან:** | სამგზავ.—დღის. | 6 ს. 33 წ |


◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

## მოსავალი

**წელიწადი მეორე**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ** მცენარეების **საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

## გამოვიდა

და იყიდება: ტფილისში

წ. კ. საზოგ., მერკვილაძის, გადილიას, აგრეთვე საქართველოს სხვა ქალაქების წიგნის მაღაზიებში ალ. თუთაევის კომედიები, მიძღვნილი ქართული თეატრის მსახიობთათვის მათის სურათებით: „ცოლი ვიტირო თუ ფული“ მიძღვნილი ნატო გაბუნიასადმი, „უმარილის ბრალი“, გედევან გედევანოვისადმი, „ბედმა მიღალატა“ ვახო აბაშიძისადმი, „უშნო არშიყი“ და სხვ. თუ ვისმეს სურს, გაეგზავნება 25 პროცენტის გამორიცხვით. წიგნის ფასი 10-20 კაპ. ადრესი: ტფილისი (დიდუბე) ალ. თუთაევი. (15—13)

ვ. ყიფიანის დრამა

## სამეგრელოს მთავარი

## ◀ ლევან

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

**ფასი ორი აბაზი**

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.


## კატალოგი

**ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის. № 3.**

I

სასულიერო შინაარსის წიგნები.

1. იოსელიანი გ. საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სურათებით, ტფ. 1909 წ. 40 კ.
2. მისივე ლოცვანი ტფ. 1910 წ. 20 „
3. ძველი აღთქმა, ხუთი წიგნი მოსესი ტფ. 1900 წ. . . . . 50 „
4. ფსალმუნი. ტფ. 1901 წ. . . 10 „
5. ახალი აღთქმა. სახარება. საქმე მოციქულთა და ეპისტოლენი მოციქულთანი. ტფ. 1879 წ. . 40 „
6. სახარება.

II

მოთხრობები, ლექსები, პიესები.

7. აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული. ტფ. 1908 წ. . . 40 „
8. ანდრეევი ლ. ადამიანის ცხოვრება. ტფ. 1907 წ. . . . . 50 „
9. ბარათაშვილი ნ. ლექსები, „სორაპანის“ გამოცემა. ტფ. 1910 წ. 10 „
10. გვარამაძე ივ. თამრო ჰარამხანაშია. გურიის ცხოვრებიდან. ახალციხ. 1906 წ. . . . . . 20 „
11. გლახაშვილი ს. წყურვილი. დრამა 3 მოქ. 4 სურ. ტფ. 1910 წ. 30 „
12. გიგაური. ლექსები. ქუთ. 1908 წ. 20 „
13. გიოტე, ფაუსტი. დრამატ. პოემა. ნათ. პ. მირიანიშვილისა. ტფ. 1909 წ. . . . . 1 მ. 25 „
14. დუტუ-მეგრელი. წიგნი I ლექსები. ტფ. 1909 წ. . . . . . 70 „
15. ერისთავი გ. გაყრა, 4 მოქ. კომედია. გამოც. „სორაპანისა“. . 5 „
16. ვაჟაფშაველა. ცრემლები. 1909 წ. 50 „
17. ზღაპრები II, ქალთა წრის გამოცემა. . . . . 1 მ. 30 „
18. თუთაევი ალ. ქართული პიესები ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
19. იერეთელი პ. დამარცხებულნი. დრამა 5 მ. ტფ. 1908 წ. . . 30 „
20. მისივე ქრისტინე, დრ. 5 მოქმ. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
21. Избранныя стихотворенія А. Церетели, съ предисловіемъ А. Хаханова. Моск, 1908 г. . . . 20 „
22. მოლიერი. დრამატ. თხზულებანი. გამ. „სორაპან-სა“. ტფ. 1909 წ. 50 „
23. ნიშადკრებული. ტფ. 1909 წ. 15 „
24. ნავთლუღელი შ. შრომის დროს ამონაკვნესი. ლექსები. ტფ. 1908 წ. . . . . . . . 3 „
25. ნინოშვილი ე. პალიასტომის ტბა. ტფ. 1909 წ. . . . . . 5 „
26. მისივე ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტფ. 1909 წ. . . . . . 20 „
27. მისივე გოგია უიშვილი. ტფ. 1909 წ. . . . . . . 5 „


## მეაბრეშუმეებს

◀ ლ ო ჟ ი ე ს ▶

ფირმისაგან აბრეშუმის თესლების დაკვეთის სეზონი ახლაა, რადგანაც ახლა მზადდება ფაბრიკაში თესლები, ამიტომ გაუწყებთ ჩემს თანამშრომლებს (და მას, ვისაც ამ თესლების გავრცელება სურს), რომ დაუყოვნებლივ შემოიტანოთ თავის რაიონისთვის საჭირო დაკვეთა, უამისოდ მე თესლებს არ გამოვიწერ.

ფარცხანაყანევის, ზემო-ქვიტარის, მაღლაკის, საჩინოს, ბაღდათის, სვირის, თერჯოლის, საჩხერის, ჩხარის, სენაკის, ნოღა—ევის და სხვა საზოგადოებებში მსურს აგენტურის მოწყობა თუ შესაფერი კაცები, საიმედო პირობებში იკისრებენ საქმის წარმოებას.

პირობების გასაგებათ მიმართეთ შემდეგი ადრესით: იოსებ კაკაბაძეს, ქუთაისში. **ი. კაკაბაძე.** (6—6.—6)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

## „ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

**24** წიგნი მცირე წლოვანთათ. **12** წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულიალური ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი» —ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».— ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“— ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ახლები კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარეთ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურთ ქარვასლაში).

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე

**სარაპ**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**მონხე**—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმ-სა 1½—3 საათ.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

**ხუდაბაშევი**—ქალებ., ყოველ დღე. 1—2 ს.

**ახვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.

**ვესელოვზოროვი ნ. ნ.** ქირურგ. ავად. ყოვ. დღ გარდა კვირა-უქმისა 2—3 საათ.

**ხატისოვი ნ. დ.**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

**მიკირტუმოვი** დილის 10½—11½ ს. ყოველ-დღე.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ. სულ. ელექტროტერაპ ა. ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 4—5 საათ.

**ფონდოევი**—ნერვ. და ელექტროტერ. ყოვ.-დღე 2—3 ს.

**ი. მ. ახპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. 1—2 საათამდე.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნარის შრატით. (100—5.—67)

## შპალიერი

8 კაპეიკიდან 6 მან.-მდე რულო

**ძმ. ბარნოპოლების**

საწყობი რუსეთის ყველა დიდ ქალაქში.

განყოფილება **ტფილისში:** გოლოვინის პრ., № 21, არტისტ. საზოგად. ქვეშ, ტელ. № 355.

**ფასები საფაბრიკოა.**

ნიმუშები უფასოდ. (50—1046—35)

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

## ◀ ჯ ე ჯ ი ლ ი ▶

**ოცდა პირველი წელიწადი**

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა პატარებისათვის და მოზრდილთათვის.

**ჟურნალი „ჯეჯილი“** ტფილისში ეღირება 4 მან. ქალაქ გარეთ (გაგზავნით) 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 40 კაპ.

ქალაქ გარეთ მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** წიგნის მაღაზიას „იმერეთი“-ს და ბათუმში **მ. კალანდაძეს.**

ფოსტის ადრესი: Въ тифлисъ въ Ред. Грузынскаго дѣтскаго журнала „ДЖЕДЖИЛИ“.

(5—5) რედ.-გამომცემელი **ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.**

დაიბეჭდა და 1 სექტემბრიდან დაურიგდება ხელის მომწერლებს

**დუტუ მეგრელის** ნაწერების მეორე წიგნი **„მოთხრობები“**

(მოთავსებულია 19 მოთხრობა).

ძველმა ხელის მომწერლებმა მანამდე უნდა აცნობონ ამ ადრესით: Тифлисъ. Типографія „Шрома“, В. К. Болквадзе: ა) თავისი ახალი ადრესი, თუ ადრესი შეცვლილია, ბ) წიგნების რაოდენობა და ვ) საიდან ჰქონდათ გამოწერილი წიგნები.

ვინც დანიშნულ დრომდის გამოგზავნის აგრეთვე დასახელებულ ადრესით ან პირადად მოიტანს ერთ მანეთს ქვეყნის ხელის მომწერლებთან ერთად გაეგზავნება ორივე წიგნი: „ლექსები“ და „მოთხრობები“.

## უმთხვევით იყიდება

ძრიელ იაფად ორ სართულიანი სახლი. შესდგება 13 ოთახისა და 6 სამზარეულოსაგან. მიწა ზომით 60 ოთხკუთხი საჟენი. ავლაბარში, თელავის ქუჩა, № 17. არამიანცის საავადმყოფოს ახლო. შეიძლება იჯარითაც გაცემა. პირობების გაგება შეიძლება იქვე.




მ ო ი თ ხ ო ვ ე თ

## სწორე და მკვიდრი საათები!

**ნუ გამოეკიდებით იაფ-ფასიან საათებს. კარგ საათებს ყოველთვის თავისი ფასი აქვს. პარიზის ახალი რამ.**

ორას მანეთიან ოქროს საათების მაგიერ გირჩევთ შეიძინოთ კაცის უხმო საათები სამი სახურავით «ს ე ც ხ ი ა», რომლებიც სილამაზით და სიმკვიდრით ოქროს საათებს არ ჩამოუვარდებიან, რადგანაც 14⁰/₀ ოქრო აქვს შემოკრული. ამ საათების მექანიზმი ნამდვილი შვეიცარიულია, მუშაობს 15 ქვაზე და მეტად კარგი ხმა აქვს, დაქოქვა 40 საათში ერთხელ, უგასაღებოდ. საათები ნამდვილი ახალი ოქროსია და თავის კარგ თვისებათა გამო დაჯილდოვებულია ოქროს მედალით და „სიკარგის ნიშნით“. ფასი 5 მ 25 კ. 2 ც. 10 მ. 4 ც. 19 მ. 50 კ. ვინც გასინჯავს ამ საათებს დარწმუნდება, რომ ის 250 მან. ღირს. საათები იგზავნება წუთით წუთამდე გასწორებული 10 წლის პასუხის მგებლობით, ფას-დადებით და უბეოდ. გაგზავნა გადასახადით 60 კ. (ციმბირში 90 კ.).

| ПАРИЖЪ 7 PARIS | S. Strumfeld Rue Mirbel 2 bis. |
|---|---|

უფასოდ ვგზავნით ახალი ოქროს მშვენიერ მეწკვს ბრელოკით და ზამშის ბუდით. მიმართვა შეიძლება რუსულ ენაზე. დახურულ წერილზე უნდა დააკრათ 10 კ. მარკა, ხოლო ღია წერ. 4 კ. ადრესი გთხოვთ ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ კონვერტზე ან ღია ბარათზე. (52—5.—1)


## მორიგი ექიმები და ფერშლები

მუხრანის საქალაქო საავადმყოფო, ტელეფონი **№ 39.**

## ქალაქის საბჭოს სასანიტარო ექიმები:

## ადრესი:

| | |
|---|---|
| 1, 2 და 9 საპოლიციო ნაწილში | ვ. **პ. ფომინა ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთ. სახ. ტელეფ. **№ 461**). |
| 3 და 4 საპოლიციო ნაწილში (იარმუკაში) | ლ. **ხ. ქალანთაროვი,** (მე-2 ნაწ. ბარიათინსკის ქ. **№ 6,** ტელეფონი **№ 517**). |
| 5 და 6 ნაწილში . . . | **ი. მ. ზაპლუდოვსკი,** (მე-2 ნაწ. გრიბოედოვის ქ. **№ 10,** ტელეფონი **№ 645**). |
| 7 და 8 ნაწილში . . . | გ. **თ. ნათიშვილი,** (მე-8 ნაწ. რიყის ქ. **№ 4,** ტელ. **№ 248**). |
| 10, 11 და 12 ნაწილში . . . | ვ **ა. მირაქოვი,** (მიხეილის პრ. **№ 174,** ტელეფონი **№ 327**). |

## სასანიტარო მზრუნველები

1 საპ. ნაწ. **მ. კ. ბელოზერსკი,** (წყნეთის ქ. **№ 17**).
მე-2 „ ნაწ. **რ. გ. ტერეგულოვი.** (სვიატ. მირსკის ქუჩა, **№ 17**).
მე-3 „ ნაწ. **ზ. ი. თამამშევი,** (პეტ. დიდის ქ. **№ 11**).
მე-4 „ ნაწ, **ი. ბ. მელიქ ბახტამიანი,** (პუშკინის ქ. **№ 3**).
ამის ამხანაგად **ვ. ა. იუზბაშევი,** (არქივის შესახვევი, **№ 12**).
მე-5 „ ნაწ. **მირზა ჰუსენ ჰასან ზადე,** (სურფ-სარქისის ქუჩა, **№ 19**).
მე-6 „ ნაწ. **ა. ს. ღულაძე,** (გოლოვინის პრ., **№ 32**).
მე-7 საპ. ნაწ. **დ. ა. შიხინოვი,** (ავლაბარ., ფერისცვალების ქ., **№ 20**).
მე-8 „ ნაწ. **ზ. ი. თოიძე,** (გონჩაროვის ქ., **№ 32**).
მე-9 „ ნაწ. **გ. ა. ტერ-სტეფანოვი,** (კრასნოგორის ქ., **№ 16**).
მე-10 „ ნაწ. **დ. ი. ემინოვი,** (მიხეილის ქ., **№ 142**).
მე-11 „ ნაწ. **ს. შ. ჭყონია,** (მიხეილის ქ., **№ 148**).
მე-12 „ ნაწ. **ზ. ვ. ჩარკვიანი,** ნაძალადევი, რემონტის ქ., საკუთარი სახლი.

## ქალაქის საბჭოს ღამის ექიმები

## (რომელნიც ნწამლობენ)

| | | |
|---|---|---|
| 1 და მე-2 საპოლიციო | ნაწილში | **ზ. ა. გედალინი,** (მადათოვის ქუჩა, **№ 5,** ტელეფონი 593). |
| მე-3 და მე-4 „ | ნაწილში | **მ. ი. შავერდოვი,** (ფუნთხაინის აღმართი **№ 1,** ტელეფონი **№ 619**). |
| მე-5 „ | ნაწილში | **ტ. მ. ტატევოსიანი,** (ველიამინოვის ქ., **№ 4,** ტელეფონი **№ 680**). |
| მე-6 და მე-7 „ | ნაწილში | **შ. ა. მიქელაძე,** (კახეთის ქ., **№ 1,** ტელეფონი **№ 816**). |
| მე-8 და მე-9 „ | ნაწილში | **ნ. დ. ხატისოვი,** სუდებნის ქ., **№ 17,** ტელეფონი **№ 709.** |
| მე-10, 11, მე-12 „ | ნაწილში | **ი. ზ. ტერ ნიკოლოსოვი,** (მიხეილის ქ., **№ 169,** ტელეფონი **№ 15**). |

(6—5.—4)

რედაქტორ-გამომცემელი **დ. ხრამელაშვილისა.**

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3